თბილისის "დინამო" მერვედფინალში

გუშინ თბილისის "დინამო " ბელგრადში უეფა–ს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალურ მატჩში შეხვდა ადგილობრივ ოფკ–ს. თბილისელებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს 5:1. ანგარიში მე–7 წუთზე დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა ჭელიძემ. 10 წუთის შემდეგ გ. ნოდიამ ანგარიში გაზარდა, ხოლო 35–ე წუთზე შესანიშნავად ითამაშა ასათიანმა, ბურთი მიაწოდა ყიფიანს, რომელმაც მესამედ აიღო მასპინძელთა კარი. 62–ე წუთზე ყიფიანმა ოთხამდე გაზარდა ანგარიში. 71–ე წუთზე წერეთელმა საუცხოო დარტყმით კიდევ უფრო განამტკიცა "დინამოს" წარმატება. თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე თბილისელთა კარში დანიშნული პენალტი კარგად გამოიყენა სტოიანოვიჩმა (N 3). თბილისელები მერვედფინალში გავიდნენ. "დინამომ" ითამაშა ასეთი შემადგენლობით: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭელიძე, ებრალიძე (გავაშელი), მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი (წერეთელი) ჩ. ნოდია, ლ. ნოდია.

მატჩს მოემსახურა მალტელ მსაჯთა ბრიგადა.

ლელო 8 ნოემბერი 1973 წ.